# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 მარტი, შაბათი, 1990 წ.
№ 55 (10 224) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ძნელი გამარჯვებები

**იმედი** არ გაუწბილდათ თბილისელ მაყურებლებს, რომლებიც ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდისა და ლენინგრადის „ვოლნას“ შორის გამართული შეხვედრის საყურებლად მოვიდნენ.

პირველი სამი წუთის განმავლობაში მოედანზე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მეოთხე წუთზე თამრიკო ბუილიშვილმა შორი მანძილიდან ისროლა ბურთი კალათში და ქართველი კალათბურთელები დაწინაურდნენ — 7:4. ჩვენმა გუნდმა აღარ დათმო ინიციატივა და ტაიმი მოიგო კიდეც — 43:18.

მეორე ტაიმში გამოირკვა, რომ ლენინგრადელებმა, თურმე, ტაქტიკურ ხრიკს მიმართეს. პირველ ტაიმში საუკეთესო ხუთეულს დასვენების საშუალება მისცეს... სტუმრები არ აპირებდნენ შეხვედრის დათმობას და მეორე ტაიმის პირველსავე წუთებიდანვე დაძაბული ბრძოლა გაიმართა. ანგარიშში სხვაობა თანდათან მცირდებოდა. მაგრამ თბილისელმა კალათბურთელებმა ამ დღეს მართლაც რომ საუკეთესოდ ითამაშეს. ძნელია რომელიმე მათგანის გამოყოფა, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას ბუილიშვილზე, რომელმაც, როგორც დაცვაში, ასევე თავდასხმაში (მან 24 ქულა შესძინა გუნდს) უნაკლოდ ითამაშა. ჩვენმა გოგონებმა ეს თამაში გამარჯვებამდე მიიყვანეს — 80:69.

მეორე დღეს, განმეორებით შეხვედრაში თბილისელები დაწინაურდნენ, მაგრამ შემდგომ ინიციატივა ლენინგრადელებმა იგდეს ხელთ. სამწუხაროდ, შეხვედრის მეშვიდე წუთზე შეტევისას კვლავ დაშავდა მ. მხეიძე და მთელი თამაშის სიმძიმე ძირითადად ვ. კოზლოვას დააწვა. პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა ბოლო წუთებზე ქართველმა კალათბურთელებმა შეძლეს დაწინაურება — 36:32. მატჩის მეორე ნახევარიც ძალიან დაძაბულად წარიმართა. საერთოდ, ეს შეხვედრა იმ თამაშების რიცხვს განეკუთვნებოდა, როდესაც საფინალო სასტვენამდე გამარჯვებულს ვერ დაასახელებ. 78:77 — გაიმარჯვეს თბილისელმა კალათბურთელებმა.

პირველ შეხვედრაში თბილისელთაგან ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: თ. ბუილიშვილი და ნ. ლორია (19 ქულა), მეორე შეხვედრაში — ვ. კოზლოვა (24 ქულა) და ისევ ბუილიშვილი (18 ქულა).

ამ გამარჯვებებით ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებმა I ლიგის გათამაშებაში განიმტკიცეს პოზიციები.

**გია გურდული**

* * *



**ს უ რ ა თ ზ ე:** თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტისა და ლენინგრადის „ვოლნას“ კალათბურთელთა გუნდების შეხვედრის ეპიზოდი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

### ანზორ კიკნაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

## ორი ჩემპიონი

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო გამოჩენილი ქართველი ფალავნის ანზორ კიკნაძის სახელობის რიგით მეხუთე საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში მოსწავლეთა შორის. სამწუხაროდ, თურქეთის ნაკრები, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არ ჩამოვიდა თბილისში, სხვა მონაწილეების ვინაობას კი ქვემოთ მოყვანილი პრეს-კონფერენციის ანგარიშიდან შეიტყობთ.

ასპარეზობა გოგონათა შეჯიბრებით უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ვინაიდან დაბალ წონებში ძალზე ცოტა მონაწილე შეგროვდა, ისინი ჯგუფური ტურნირის გაუვლელად პირდაპირ ფინალური ეტაპის შეხვედრებში მიიღებენ მონაწილეობას.

ეტყობა, ეს ძიუდოისტთა ასაკის ბრალია: გუშინ მონაწილეები, ერთგვარად, სწრაფად გამარჯვებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შეიქმნა მას შემდეგ, რაც უამრავი შერკინება ვადამდე დამთავრდა. მაგალითად, ამირან აბრამიშვილს ერთ-ერთი მეტოქის დასამარცხებლად სულ 13 წამი დასჭირდა. ჯერჯერობით ეს ტურნირის თავისებური რეკორდია.

საქართველოს ნაკრების სხვა წევრმა, ომარ დადეშქელიანმა 25 წამში მოუგო შვეიცარიელ დავით ვენაროს (75 კგ), ასევე ანატოლი ავაზნელსაც ერთი წუთიც არ დასჭირდა გამარჯვების მისაღწევად სტეფან გიიესთან (საფრანგეთი) ორთაბრძოლაში.

აღნიშვნის ღირსია თბილისელი გიორგი ვაზაგაშვილიც, რომელმაც ზედიზედ სამი წმინდა გამარჯვება მოიპოვა და ამასთან ერთად — ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლებაც...

**გუშინ** გამოვლინდნენ ტურნირში გამარჯვებულები და პრიზიორები, როგორც გოგონათა, ასევე ვაჟთა შორის.

**ვაჟები:** 49 კგ 1. [illegible] 2. უ. მუსენოვი (ორივე — სსრკ), 3. მ. ტეტუნაშვილი, მ. აბაშიძე (ორივე — საქართველო). 53 კგ 1. ნ. ქოჩიაშვილი, 2. [illegible], 3. გ. კაჟიაშვილი (სამივე — საქართველო), რ. მამედოვი. 57 კგ 1. გ. ვაზაგაშვილი, 2. გ. თოხელიანი (ორივე — საქართველო). 3. ს. მამელი (გდრ), ფ. გამზაევი (სსრკ).

**გოგონები:** 39 კგ 1. ბ. კუსაშევსკა (პოლონეთი) 2. თ. არშაკუნი (საქართველო). 42 კგ 1. ნ. ფედიაევა (სსრკ). 2. ე. არშაკუნი (საქართველო). 45 კგ 1. გ. ტომიაკი (სსრკ) 2. თ. ჩანტლაძე, 3. ლ. მარგიშვილი (ორივე — საქართველო), 48 კგ. ო. ხარჩენკო (სსრკ), 2. ა. კუპრაშევიჩი (პოლონეთი). 3. ჟ. ისარბედიანი (სსრკ).



## გუშინწინ, პრეს-კონფერენციაზე...

**როგორც** უკვე იცით, წელს ტურნირში პირველად იასპარეზებენ გოგოები, რომლებიც 10 წონით კატეგორიაში მოსინჯავენ ძალებს (ვაჟები — 9 წონით კატეგორიაში).

ა. კიკნაძის მემორიალში მონაწილეობის მისაღებად უკვე ჩამოვიდნენ გფრ-ის, გდრ-ს, ბულგარეთის, შვეიცარიისა და პოლონეთის გუნდები, აგრეთვე, სსრკ-ის ნაკრები. იგი ისევე, როგორც საქართველოს ნაკრები, ყველაზე მეტ (200-მდე) სპორტსმენს გამოიყვანს თბილისის ტატამზე. საქართველოს გუნდში დაახლოებით 150 მოჭიდავეა. თუ რამდენი უცხოელი ძიუდოისტი იასპარეზებს, ეს ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი გუშინწინ 6 საათისათვის, როდესაც პრეს-კონფერენცია ჩატარდა სპორტის სასახლეში:

ტურნირს მოემსახურება მსაჯთა კოლეგია (მთავარი მსაჯი — ბიძინა მაზიაშვილი), რომელიც 25 კაცისაგან შედგება. მათგან 5 არბიტრი უცხოელია.

შეჯიბრება გაიმართება ე. წ. შერეული სისტემით (წრიული და ოლიმპიური სისტემები), გავესაუბრეთ გფრ-ის და გდრ-ის ნაკრები გუნდების მწვრთნელებს.

**ანდრეა შერთიგი, გდრ-ის ძიუდოს კავშირის მწვრთნელი:** მესამედ ვმონაწილეობთ კიკნაძის მემორიალში. (პირველად — 1987 წელს). მინდა აღვნიშნო ამ ტურნირის მაღალი დონე. ჩვენი ძიუდოისტებისთვის ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა დიდი გაკვეთილია მათი შემდგომი სპორტული დაოსტატებისთვის. ჯერჯერობით, 1987-88 წლის ტურნირებზე სულ 3 ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. სახარბიელო შედეგი არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ტურნირის უძლიერეს შემადგენლობას და ჩვენს ქვეყანაში ძიუდოს განვითარების დონეს, თქვენთან შედარებით, ცხადია, გულდაწყვეტილები არა ვართ.

არც ამჯერად ვაპირებთ უმდლოდ დარჩენას ძირითადად იმედებს ვამყარებთ ორ სპორტსმენზე: ზიგმან მინქენზე (90 კგ) და რობერტ გაიზე (75), რომელთაც უკვე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე...

**ჰაიკენ ნორბესტი, გფრ-ის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი:** მეც დაახლოებით იგივეს გავიმეორებ. ანზორ კიკნაძის მემორიალის მონაწილეთა სიძლიერეში შარშან დავრწმუნდი, როცა პირველად ვახლდი გუნდს. ეს არის საუკეთესო ტურნირი მოზარდებისათვის, სხვათაშორის, ასე თუ ისე, ვიცნობ ქართულ ჭიდაობას. მას ფენომენს და თუ თქვენ სათანადოდ მოუარეთ სპორტის ამ ეროვნულ სახეობას, სწორი გზით წარმართეთ მისი განვითარება და პოპულარიზაცია, დარწმუნებული ვარ, იგი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ჭიდაობის ოკვე აღიარებული სახეობების გვერდით. სათუთად ვინახავ ქართველი მეგობრების მიერ ნაჩუქარ ქართულ საჭიდაო ჩოხას...

**ლევან ჯავახიშვილი.**

## მხარში ვუდგავართ...

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება ეროვნული ჩემპიონატის გამართვის თაობაზე საეტაპო მოვლენაა ჩვენი სპორტის ისტორიაში და მას ჩვენც ერთსულოვნად მივესალმებით. მაგრამ, ეჭვგარეშეა, ასეთი თამამი ნაბიჯი პრობლემებისაგანაც არ იქნება დაზღვეული. ბევრი ამ პრობლემათაგანი, ალბათ, წმინდა სპორტული ხასიათისა იქნება და მას, იმედი გვაქვს, პროფესიონალები მოუვლიან, მაგრამ ფინანსური და მორალური ხასიათის პრობლემების გადაჭრაში ფეხბურთის ფედერაციისა და თავად ჩვენს გუნდებს მხარში უნდა ამოუდგეს ყოველი ჩვენთაგანი, ცალკეული პიროვნება თუ დაწესებულება.

ამ მხრივ, ჩვენმა კოლექტივმა გადაწყვიტა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე (სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ასე უნდა მოვიხსენიოთ) გამართულ ყოველ მატჩზე დასასწრებად შევიძინოთ 30 აბონემენტი, ხოლო წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის დასასრულს დებიუტანტთა შორის გამოვლინებულ ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელისა და მისი აღმზრდელისათვის ვაწესებთ პრიზებს.

**ლევან ჩიქვანაია,**
**სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.**

## შეიცვალა კაპიტანი

**მსოფლიოს** გარშემო აფროსანთა რბოლა „უიტბრედი“ შარშან 2 სექტემბერს დაიწყო. ამ რამდენიმე დღის წინ კი ურუგვაის საკურორტო ქალაქ პუნტა დელ-ესტაში სტარტი რეგატის მეხუთე ეტაპს მიეცა. ნავებს ამჯერად გასავლელი აქვთ ხუთნახევარი ათასი მილი. ფინიში მოეწყობა ამერიკის შეერთებული შტატების პორტ ლოდერდეილში.

საბჭოთა ნავის „ფაზისის“ ეკიპაჟში არსებითი ცვლილებები მოხდა. მეხუთე ეტაპზე რბოლას 12 სპორტსმენი განაგრძობს ახალი შკიპერის — სოჭელი ვალერი ალექსეევის მეთაურობით. „ფაზისის“ ყოფილ კაპიტანს, ამერიკელ სკიპ ნოვაკს ამჯერად კონსულტანტის ფუნქციები დაეკისრა.

ეკიპაჟის ძველი შემადგენლობიდან რბოლას მხოლოდ ოთხი აფროსანი შემორჩა. ესენი არიან: ფოთელი ჯუმბერ ცომაია, ოდესელი სერგეი სტანეცკი, რიგელი ედგარ ტერეხინი და კიეველი იგორ მირონენკო.

ლოდერდეილის პორტში პირველი მონაწილის ჩასვლას 12 აპრილისთვის ვარაუდობენ.

## ახალი სახელები

**მარტის** ბოლოს იწყება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით ჩვენი გუნდები ახალ სახელებს ირქმევენ, რაც ყოველმხრივ მისასალმებელი და სასიამოვნოა.

რუსთავის გუნდი, რომელიც „მეტალურგის“ სახელით გამოდიოდა, ამიერიდან იწოდება „გორდად“. ცხინვალის „სპარტაკს“ დაერქვა „ლიახვი“, ხოლო წყალტუბოს „მადრევანი“ გათამაშებაში გამოვა „სამგურალის“ სახელით.

## ლიდერთა ჯგუფი გამოიკვეთა

**დაუმარცხებლად** მიიწევს წინ თბილისელი ოსტატობის კანდიდატი კახა შალამბერიძე ტყიბულში მიმდინარე საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში (პირველი ლიგა). IX ტურში იგი შავი ფიგურებით დაუზავდა ქუთაისელ ოსტატობის კანდიდატს ხვიჩა სუპატაშვილს.

ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ნუკრი მანაგაძემ. მან ამ ტურში შავებით სძლია თბილისელ ალექსი ლაზარაშვილს. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: სიჭინავა-გოგიჩაიშვილი 0:1, იგრიაშვილი-ფორჩხიძე 1:0, ბერაძე-მელქონიანი 0,5:0,5, კეკელიძე-იაშვილი 0,5:0,5, კუჭუხიძე-პოპოვი 0,5:0,5. გადაიდო მანაშეროვისა და გოგეშვილის პარტია.

**X ტურში** ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის მეოთხეკურსელმა გივი გოგიჩაიშვილმა, რომელმაც თეთრებით დაამარცხა ალექსი ლაზარაშვილი. მეთორმეტე სვლაზე დაზავდნენ ნუკრი მანაგაძე და ხვიჩა სუპატაშვილი. ამ ტურის დანარჩენი პარტიების შედეგები ასეთია: პოპოვი-სიჭინავა — 1:0, გოგეშვილი-იგრიაშვილი 0:1, ფორჩხიძე-კუჭუხიძე 0:1, იაშვილი-ბერაძე 1:0, ლეკვეიშვილი-კეკელიძე 0:1. გადაიდო მელქონიან-მანაშეროვის პარტია.

გამოტოვებული I-II ტურის შედეგები: **I ტური:** ბერაძე-ლაზარაშვილი 0:1, გოგეშვილი-პოპოვი 0:1, ლეკვეიშვილი-შალამბერიძე 0:1, კეკელიძე-სუპატაშვილი 0:1, მანაშეროვი-სიჭინავა 0:1, იაშვილი-მანაგაძე 0,5:0,5, მელქონიანი-გოგიჩაიშვილი 0,5:0,5, იგრიაშვილი-კუჭუხიძე 0,5:0,5, **II ტური:** შალამბერიძე-კეკელიძე 1:0, ფორჩხიძე-გოგეშვილი 0:1, ლაზარაშვილი-მანაშეროვი 1:0, გოგიჩაიშვილი-იაშვილი 1:0, იგრიაშვილი-სიჭინავა 1:0, სუპატაშვილი-ბერაძე 0,5:0,5, მანაგაძე-ლეკვეიშვილი 0,5:0,5, პოპოვი-მელქონიანი 0,5:0,5.

ათი ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: კახა შალამბერიძე — 8 (9 შესაძლებლიდან). იანის პოპოვი — 8, გივი გოგიჩაიშვილი (ყველა — თბილისი), ნუკრი მანაგაძე — 7,5:7,5, ხვიჩა სუპატაშვილი (ორივე — ქუთაისი) — 7 (9-დან).

**ვასილ ვაშაკიძე.**
ტელეფონით. „ლელოს“ სპეც. კორ.

# ნატბეურა, ბულდოზერები და...

**კასპში** ერთი ადგილია, ნატბეურას უწოდებენ. აქ ორი ვეება ბულდოზერი გამალებული მუშაობს, უშველებელ ტერიტორიას შესჭიდებიან და, როგორც იტყვიან, მთას აბრუნებენ.

თურმე, სპორტულ კომპლექსს აშენებენ..

...შარშან კასპის რაიონის საშუალო სკოლადამთავრებულთაგან ყოველ მეორეს გუდა-ნაბადი აუკრავს და წასულა....

— წავიდოდნენ, აბა რას იზამდნენ, — გვეუბნება კასპის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გია ჯალალი, — სხვა ფაქტორებთან ერთად ახალგაზრდობის მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი სპორტული ბაზების ნაკლებობაცაა. დიახ, ფიზკულტურის კოლექტივები სპორტული ბაზებისა და ინვენტარის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. რაიონის სპორტული ბაზების საბალანსო ღირებულება ერთ მშრომელზე გაანგარიშებით საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით თითქმის 30-ჯერ ნაკლებია. რაიონში ერთ ფიზკულტურელზე წელიწადში მხოლოდ მანეთი და 80 კაპიკი იხარჯება მაშინ, როცა საერთო საკავშირო მაჩვენებელი 37 მანეთს აღწევს ან ის როგორ მოგწონთ, რაიონში ყოველ ათას მოსახლეზე ერთი საშხაპე რომ მოდის... ხოდა, წავლენ, აბა რას იზამენ. საბედნიეროდ, ახლა მდგომარეობა სასიკეთოდ იცვლება.

ზემო ხანდაკში სპორტდარბაზის მშენებლობაც ვნახეთ. აქ უკვე აუგიათ და ახლა ხურავენ დარბაზს, რომელსაც ექნება ადმინისტრაციული და მწვრთნელთა ოთახები, გასახდელებიცა და საშხაპეებიც. თბილი წყლის პრობლემა აქ არ შეაწუხებთ, რადგან ამ ნაგებობას საკუთარი საქვაბე ექნება.

ალაიანში კარგი საჭიდაო დარბაზი აუგიათ, კავთისხევში სპორტდარბაზის მშენებლობა მიმდინარეობს, წელს სპორტდარბაზის აგების დაწყებას სოფელ ქვემოჭალაშიც აპირებენ.

ეს ყველაფერი და სხვა მშენებარე თუ უკვე აშენებული სპორტული მოედნები რაიონს თავისი ხარჯებით უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აუგია.

ამავე პერიოდში კასპში ორი საცურაო აუზიც აუშენებიათ. ერთი ალმასკომის დადგენილება, რომელიც შარშან მიიღეს. ეს დადგენილება არის „კასპის რაიონში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების 1989-90 წლების ტერიტორიულ-დარგობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“. ჩვენი რაიონის მხრივ დადგენილება, როგორც ხედავთ, პირნათლად სრულდება. აი, „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო კი ჯერჯერობით საქმეს აყოვნებს.

ახლა ნატბეურის ტერიტორიაზე მშენებარე სპორტულ კომპლექსს დავუბრუნდეთ. მას ექნება: 10.000 მაყურებლისთვის განკუთვნილი სტადიონი თავისი მძლეოსნური სექტორებითა და ყოველგვარი სათავსოთი, სპორტდარბაზი (18X36 მ); ღია მოედნები კალათბურთისთვის (18X30)




პირველი ნაბიჯები ნატბეურას ტერიტორიაზე მიმდინარე სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე; საჭიდაო არენა ხოვლეში.




„კასპიელექტროაპარატის“ დახურული საცურაო აუზი; კასპის განათლების განყოფილების ღია საცურაო აუზი.




ზემოხანდაკის მშენებარე სპორტდარბაზი; კასპის საფეხბურთო სკოლის ახლახანს აგებული ადმინისტრაციული კორპუსისა და გასახდელების შენობა.

ავტორის ფოტოები.

გადახურული თავისი საჭყუმპალაოთი და გათბობით ქარხანა „კასპიელექტროაპარატისაა“, მეორე, ღია, ასევე გათბობით, განათლების განყოფილებისა. ამ აუზებს, როგორც გვითხრეს, ტრადიციული პრობლემა, გათბობა, არა აქვს. ახლა ეს აუზები მიმდინარე რემონტისთვის გაუჩერებიათ და რამდენიმე დღეში კვლავ ახმიანდება.

კასპში ვნახეთ საფეხბურთო სკოლის სულ ახლახანს აგებული გასახდელების შენობა, რომელიც მე-4 სამშენებლო სამმართველოს აუგია.

— როგორც ხედავთ, ჩვენს რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, — გვეუბნება გია ჯალალი. — ამ საქმეში გვეხმარება კასპის პარტიის რაიონული კომიტეტი, რაისაბჭოს აღმასკომი და აგროსამრეწველო გაერთიანება. ამის საილუსტრაციოდ ისიც გამოდგება, რომ ერთი თვის წინათ პარტიის რაიკომის პირველ მდივანთან შეიკრიბნენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები და ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები განიხილეს. უკვე მივეჩვიეთ, რომ ხშირად დადგენილება დადგენილებად რჩება. ამიტომ მინდა გავიხსენო ერთი დადგენილება, რომელიც ნაწილობრივ სრულდება. მხედველობაში მაქვს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, კასპის რაიკომის ბიუროსა და კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს

გაგონილს საკუთარი თვალით ნანახი სჯობიაო და კომიტეტის თავმჯდომარეს იმ სასიკეთო ცვლილებებში დასარწმუნებლად ხან კასპის ქუჩებში დავყავართ, ხან სოფლებში.

კასპში ცნობილი მრგვალი საჭიდაოსათვის ისეთი რემონტი ჩაუტარებიათ, ვეღარ ვიცანით. სწორედ ისეთია, როგორზეც იტყვიან, ავ თვალს არ დაენახვებაო. ახლა იქ ახალგაზრდულ-კულტურულ-სპორტულ კომპლექსს დაუდევს ბინა. კონცერტების გამართვაც შეიძლება, საღამოების მოწყობაცა და შეჯიბრებების გამართვაც — გნებავთ ჭიდაობაში, კრივში თუ ძალოსნობაში... ვეება, გაჩახჩახებული ჭაღის ქვეშ, მოხერხებულ სავარძელში მოკალათებული გულშემატკივარი თუ მაყურებელი თავს სასიამოვნო ატმოსფეროში იგრძნობს.

სოფელ ხოვლეში ჩინებული, გადახურული საჭიდაო არენა მოუწყვიათ. მშენებლებს აქაც დიდი გემოვნება და მონდომება ჩაუქსოვიათ.

ფრენბურთისთვის (17X26), ხელბურთისთვის (23X43), ჩოგბურთის კორტი (18X36), ღია საცურაო აუზი (25-მეტრიანი) გათბობით, კვების ბლოკი, 134-ადგილიანი სასტუმრო...

ერთი სიტყვით, ჩინებული სპორტული კომპლექსი შენდება. მას „კავგვირაბმშენი“ (უფროსი ავთანდილ ჩალაძე) საწარმოო გაერთიანება „კასპიცემენტის“ დაკვეთით აშენებს.

როგორც „კასპიცემენტის“ მშენებლობის განყოფილების უფროსმა ნიკოლოზ კლიმიაშვილმა გვითხრა, წლეულს სტადიონის მშენებლობა დამთავრდება. მთლიანად კომპლექსის ხარჯთაღრიცხვა 2 მილიონნახევარ მანეთს შეადგენს.

...კასპის რაიონი მოჭიდავეთა სამჯედლოა. აქ აღიზარდნენ ისეთი შესანიშნავი სამბისტები, როგორებიც იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი იოსებ მაღალაშვილი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ლავრენტი კაციაშვილი, მსოფლიო ჩემპიონები იუნიორებში ივანე გამხიტაშვილი, შალვა პაპინაშვილი, აქ დაოსტატებულან საერთაშორისო და საკავშირო ასპარეზობათა ჩემპიონები და პრიზიორები, საქართველოს ფალავნები...

იმედია, კასპის სპორტული კომპლექსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ აქ ეყოლებათ შესანიშნავი ფეხბურთელებიც, კალათბურთელებიც, მოცურავეებიც და სხვებიც.

**ავთანდილ გურასაშვილი,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**

კასპი.

# ჩემპიონატის სტარტზე

დაიწყო საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა 1990 წლის ჩემპიონატი. გთავაზობთ პირველ კალენდარულ შეხვედრათა ტექნიკურ ანგარიშს. ჩემპიონატის სტარტზე მოულოდნელი არაფერი მომხდარა.

**24 თებერვალი. „სინათლე“ (თბილისი) — სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 103:105 (51:55). მსაჯები — ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და დ. სადღობელაშვილი (რესპუბლიკური კატეგორია).**

**„სინათლე“:** ფხაკაძე (32), ღონღაძე (27), სინჯარაძე (19), პ. ჩაჩხიანი (19), ძიძიგური (3), მუყარაშვილი (3).

**სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი:** სანაძე (57), გურასპაული (22), ჭეიშვილი (10), მიქიაშვილი (8), კოპალეიშვილი (6), სამხარაძე (2).

**25 თებერვალი. „სინათლე“ (თბილისი) — სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 87:109 (44:47). მსაჯები — რ. ხომერიკი (საერთაშორისო კატეგორია) და ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია).**

**„სინათლე“:** ღონღაძე (20), სინჯარაძე (20), ძიძიგური (11), გოგიბედაშვილი (10), მუყარაშვილი (8), ფხაკაძე (8), ლეონტიევი (8), დვალი (2).

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი:** სანაძე (53), მიქიაშვილი (20), სამხარაძე (16), ჭეიშვილი (9), ბარამიძე (6), ცისკარიშვილი (3), კოპალეიშვილი (2).

**3 მარტი. სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — ქუთაისი 105:93 (56:45). მსაჯები — რ. გელოვანი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**სახელმწიფო უნივერსიტეტი:** კოხრეიძე (17), ქ. ქართველიშვილი (16), ხელაშვილი (15), ბერუაშვილი (14), გ. ქართველიშვილი (11), კოკოლიშვილი (11), ვაშაკიძე (9), რევაზიშვილი (7), ტუხაშვილი (5).

**ქუთაისი:** გუბელაძე (34), გოგსაძე (30), აფრიდონიძე (10), ნაცვლიშვილი (9), ბუაძე (6), ხაბულიანი (4).

**4. მარტი. სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — ქუთაისი 125:111 (52:43). მსაჯები — მ. ქურიძე (საერთაშორისო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**სახელმწიფო უნივერსიტეტი:** ტალაბაძე (41), ტუხაშვილი (23), ქ. ქართველიშვილი (20), კოკოლიშვილი (17), ვაშაკიძე (13), გ. ქართველიშვილი (7), კოხრეიძე (4).

**ქუთაისი:** გოგსაძე (40), გუბელაძე (22), გუმბერიძე (16), აფრიდონიძე (14), ნაცვლიშვილი (8), ბუაძე (7), ქათამაძე (2), ხაბულიანი (2).

ქუთაისის გუნდის მოთამაშე ნაცვლიშვილი გაძევებულ იქნა მოედნიდან არასპორტული საქციელისთვის.

**3. მარტი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი) 113:66 (59:30). მსაჯები — რ. ხომერიკი (საერთაშორისო კატეგორია) და ვ. გოლოვანოვი (საკავშირო კატეგორია).**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:** მ. ცაგარეიშვილი (29), გეგეშიძე (24), ვაშაკიძე (13), ზ. ცაგარეიშვილი (12), გოგელია (11), სხიერელი (10), პეტრიაშვილი (7), კვეზერელი (5), ორმოცაძე (2).

**„დინამო“:** მახარაძე (18), ლომთაძე (11), ბიჭიაშვილი (8), ჩხეიძე (6), ღუდუშაური (5), სარალიძე (5), კირვალიძე (5), გურგენიძე (4), ქევხიშვილი (4).

**4 მარტი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი)— „დინამო“ (თბილისი). 108:68 (45:34). მსაჯები — რ. ხომერიკი (საერთაშორისო კატეგორია) და ვ. გოლოვანოვი (საკავშირო კატეგორია).**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:** გიორგობიანი (22), ვაშაკიძე (15), ღლონტი (15), პეტრიაშვილი (12), ზ. ცაგარეიშვილი (10), კვეზერელი (10), კოტრიკაძე (7), ორმოცაძე (7), სხიერელი (4), გეგეშიძე (4), გოგელია (2).

**„დინამო“:** ჩხეიძე (13), ბიჭიაშვილი (13), გურგენიძე (8), შუხოშვილი (8), ლომთაძე (8), მახარაძე (8), სარალიძე (4), კირვალიძე (4), ქევხიშვილი (2).

**8 მარტი. „აზოტი“ (რუსთავი)— „შევარდენი“ (თბილისი) 75:81 (41:36). მსაჯები — ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ა. ზაცაინი.**

**„აზოტი“:** გოგობერიშვილი (14), ქობულაძე (14), ბარამიძე (11), მიჩილაშვილი (10), მუმლაძე (10), ბერუაშვილი (6), აბზიანიძე (6), ლაბუჩიძე (4).

**„შევარდენი“:** ძიძავა (33), აბულაშვილი (16), წულაძე (8), კობახიძე (6), ცაგარეიშვილი (5), კორძაია (4), გაჩეჩილაძე (3), ნუცუბიძე (2), რაზმაძე (2), ჩიხლაძე (2).

**4 მარტი.. „აზოტი“ (რუსთავი)— „შევარდენი“ (თბილისი) 74:76 (38:35). მსაჯები — ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ა. ზაცარნი.**

**„აზოტი“:** მიჩილაშვილი (18), ბარამიძე (18), ქობულაძე (17), გოგობერიშვილი (9), აბზიანიძე (8), ლაბუჩიძე (2), ბერუაშვილი (2).

**„შევარდენი“:** ძიძავა (28), წულაია (17), ცაგარეიშვილი (10), კობახიძე (9), ნუცუბიძე (4), კორძაია (3), გაჩეჩილაძე (3), დონაძე (2).

**10 მარტი. ჭიათურა — „სინათლე“ (თბილისი) 78:91 (36:46). მსაჯები — ზ. ჯოხაძე და ვ. კაკოვინი.**

ჭიათურა: ძინძიბაძე (27), ბოყოველი (21), დეკანოიძე (13), ყანჩაველი (12), ზარათაშვილი (5).

**„სინათლე“:** ფხაკაძე (27), ლეონტიევი (23), გოგიბედაშვილი (14), მუყარაშვილი (13), ჩაჩანიძე (7), პ. ჩაჩხიანი (5), დვალი (2).

**11 მარტი. ჭიათურა — „სინათლე“ (თბილისი) 83:95 (38:42). მსაჯები — გ. ჯოხაძე და ვ. კაკოვინი.**

**ჭიათურა:** დეკანოიძე (31), ძინძიბაძე (22), ბოყოველი (21), ნადირაძე (7), კავთელაძე (2).

**„სინათლე“:** მუყარაშვილი (28), ჩაჩანიძე (17), ლეონტიევი (17), გოგიბედაშვილი (15), კ. ჩაჩხიანი (9), ფხაკაძე (7), ჭიჭინაძე (2).

**10 მარტი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი) 101:81 (57:36). მსაჯები — ვ. გოლოვანოვი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ჩერქეზიშვილი (28), დადიანი (19), უძილაური (18), კობეშავიძე (15), ლიპარტელიანი (12), ინაური (6), მოლოდინაშვილი (3).

**საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი:** პირველი (17), სონინი (14), ჭითავა (13), სუშჩენკო (12), ქვილითაია (12), სახვაძე (8), ზამთარაია (3), სიდამონიძე (2).

**11 მარტი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი) 92:81 (48:47). მსაჯები — ვ. გოლოვანოვი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** კობეშავიძე (30), უძილაური (20), ჩერქეზიშვილი (19), ინაური (13), ლიპარტელიანი (10).

**საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი:** ქვილითაია (19), ჭითავა (18), სონინი (13), სუშჩენკო (12), პირველი (9), სახვაძე (8), ზამთარაია (2).

**17 მარტი. „დინამო“ (თბილისი)— „შევარდენი“ (თბილისი) 77:90 (39:50). მსაჯები — ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია) — და ვ. გოლოვანოვი (საკავშირო კატეგორია).**

**„დინამო“:** ლომთაძე (24), ბიჭიაშვილი (18), მახარაძე (13), კირვალიძე (10), ჩხეიძე (5), სიხარულიძე (3), სარალიძე (2), შუხოშვილი (2).

**„შევარდენი“:** ძიძავა (21), რაზმაძე (15), დონაძე (13), შავლოხოვი (10), ცაგარეიშვილი (9), კობახიძე (9), წულაია (5), კორძაია (4), ნუცუბიძე (2), გაჩეჩილაძე (2).

**18 მარტი. „დინამო“ (თბილისი) — „შევარდენი“ (თბილისი) 74:103 (34:51). მსაჯები — ვ. გოლოვანოვი (საკავშირო კატეგორია) და ს. მაღალაშვილი (საკავშირო კატეგორია).**

**„დინამო“:** ბიჭიაშვილი (17), მახარაძე (14), შუხოშვილი (12), ლომთაძე (10), ღუდუშაური (7), სიხარულიძე (6), ჩხეიძე (4), გურგენიძე (4).

**„შევარდენი“:** ძიძავა (29), გაჩეჩილაძე (16), ცაგარეიშვილი (9), კობახიძე (9), შავლოხოვი (8), აბულაშვილი (7), წულაია (6), რაზმაძე (6), ჩიხლაძე (6), დონაძე (4), ნუცუბიძე (3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ახალკაცი:

# ეროვნული ჩემპიონატი საინტერესო იქნება





**იოლი** წარმოსადგენია, რა ინტერესით ელოდება ჩვენი ხალხი 30 მარტს, როდესაც დაიწყება საქართველოს პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი. გულშემატკივრებს აინტერესებთ ყველაფერი, რაც მომავალ შეჯიბრებასთან არის დაკავშირებული.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის დარბაზში შეხვდა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებს. გთავაზობთ ამ დიალოგის ერთგვარ ანგარიშს და იმედი გვაქვს, რომ მკითხველს წარმოვუდგენთ აღნიშნული შეხვედრის ყველა მნიშვნელოვან ასპექტებს.

ნოდარ ახალკაცმა ისაუბრა მომავალ საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებულ საკითხებზე და პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს, ჩვენ ამ წერილს მისი მონოლოგით დავიწყებთ:

— „მე თვითონ მოვითხოვე ამ შეხვედრის მოწყობა, მინდოდა სწორედ ჩვენგან, ფედერაციისაგან გაეგოთ ცნობები ფიფა-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სოხუმის „დინამოს“ შესახებ და სხვა... აქ არავისთვის ჭკუის სწავლებას არ ვაპირებთ, უბრალოდ, გვინდა, რომ ყველა ცნობა იყოს ზუსტი და ობიექტური. თუ წამოიჭრება რაიმე გაუგებრობა, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დარეკოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში და ამომწურავ პასუხს მიიღებთ.

ახლა კი ფედერაციის მუშაობის შესახებ. ალბათ იცით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ დაგვავალა 10 მარტამდე შეგვემუშავებინა საქართველოს ჩემპიონატის სტრუქტურა, დაგვედგინა კალენდარი. ვფიქრობ, ეს ამოცანა პირნათლად შევასრულეთ, თუმცა ბევრი სიძნელე გველოდა.

დიდი კამათი იყო იმის თაობაზე, თუ რამდენ გუნდს უნდა ეთამაშა უმაღლეს ჯგუფში. ჩვენ 18-ზე შევჩერდით და აღნიშნული გადაწყვეტილება გამოვაქვეყნეთ კიდეც. ამიტომ ჩვენი გაკვირვება გამოიწვია შემდეგ პრესაში ატეხილმა კამათმა, რატომ არ დაუშვეს ჩემპიონატში, ვთქვათ, კახეთისა თუ მესხეთ-ჯავახეთის გუნდები და ა. შ.

ამაზე პასუხის გაცემა ფედერაციის საქმეა და არა სხვებისა. ვიდრე გუნდების რაოდენობას დავადგენდით, იმდენი ხალხი მოგვაწყდა, იმდენი მსურველი იყო, რომ ერთი გამოსავალიღა დაგვრჩა: უნდა გვეხელმძღვანელა მხოლოდ სპორტული პრინციპით.

საქართველოს ფეხბურთს დიდი პოტენცია აქვს. ეს მარტო იქიდანაც ჩანს, რომ ჩამოვაყალიბეთ დამოუკიდებელი ფედერაცია და სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ დამოუკიდებელ ეროვნულ ჩემპიონატს ვატარებთ ისე, რომ არც ერთი ფეხბურთელი, არც ერთი მსაჯი არ ჩამოგვყავს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან.

საკავშირო პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ სოხუმის „დინამო“ საკავშირო გათამაშების პირველ ლიგაში გამოვა. ჩვენ, ფედერაციის წარმომადგენლები, ვიყავით სოხუმში გამართულ კონფერენციაზე, როცა ამ საკითხს კენჭი უყარეს. დელეგატთა რაოდენობა ისე იყო განსაზღვრული, რომ ყველაფერი თავიდანვე ნათელი იყო და ბევრმა დატოვა კონფერენცია.

მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, თვით გადაწყვეტილებაა უკანონო. ფიფა-ს წესდების თანახმად, თუკი საქართველოს ფედერაცია გამოეყო საკავშიროს, ჩვენს არც ერთ გუნდს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საკავშირო გათამაშებაში. თუ ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია დაამტკიცებს სოხუმის „დინამოს“ მონაწილეობას საბჭოთა კავშირის პირველობაში, ამით თვითონ უხეშად დაარღვევს ფიფა-ს წესდებას. ფიფა-ს სტატუსის წიგნი აქა მაქვს და წაგიკითხავთ. 41 პარაგრაფი, 1 მუხლი: ფიფა-ს ფილიალურ ასოციაციას (იგულისხმება საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაცია) და მის კლუბებს ფიფა-ს — აღმასკომის თანხმობის გარეშე ნება არა აქვთ იქონიონ კავშირი ან ჩაატარონ მატჩები იმ ასოციაციის კლუბებთან, რომლებიც ფიფა-ში არ შედიან“.

რატომ მიიღო აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი გადაწყვეტილება? იგი საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარემ ვიაჩესლავ კოლოსკოვმა შეაგულიანა. ამაზე პირდაპირ კონფერენციაზე განაცხადა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვლადიმერ მიქანბამ: „კოლოსკოვი შეგვპირდა, სოხუმის „დინამოს“ პირველი ლიგის გათამაშებაში დავუშვებთო“.

თბილისში დაბრუნებისთანავე სასწრაფოდ დავურეკე კოლოსკოვს, ვკითხე, რა უფლებით იღებდა ამ გადაწყვეტილებას. მიპასუხა, აფხაზეთი ხომ ავტონომიური რესპუბლიკააო. შევახსენე, რომ აფხაზეთი არის სუვერენული რესპუბლიკის — საქართველოს ნაწილი, ისიც დავამატე, რომ საკავშირო ფედერაცია ამ გადაწყვეტილებით ფიფა-ს წესებსაც არღვევდა და პოლიტიკურ საკითხშიც ერეოდა. ჩვენ გვინდა ფეხბურთიც დავიხმაროთ, რომ აფხაზეთში დაძაბულობა შენელდეს, თქვენ კი, პირიქით, წყალს ვიმღვრევთ-მეთქი...

ამ შემთხვევაში ჩვენ ფიფა-ს და საკავშირო ფედერაციას ველაპარაკებით კანონების „მშრალი“ ენით, რომლითაც მათ ჩვენთან არჩიეს დიალოგი. ბლატერმა მოსკოვში შეხვედრაზე წინ ფიფა-ს სტატუსის სქელტანიანი წიგნი დამიდო. ვუთხარი, ჩვენც გვაქვს ასეთი წიგნი, იქნებ ჯერ იმაზე გველაპარაკა, რა შესაძლებლობა აქვს ჩვენს რესპუბლიკას, რა ტრადიციები გაგვაჩნია, ფეხბურთში, რა მიღწევები მოვიპოვეთ-მეთქი. სხვათა შორის, ბლატერი და ფიფა-ს მეორე წარმომადგენელი ესპანელი პორტა ჩვენთან დაკავშირებულ ზოგ საკითხზე ვერც კი შეთანხმდნენ, ხშირად კამათობდნენ კიდეც...

ახლა მდგომარეობა სწრაფად იცვლება. ამ საკითხებზე ექვსი წლის წინ რომ დაგვეძრა კრინტი, ყველა სასაცილოდ აგვიგდებდა. ახლა კი მოლაპარაკება გავმართეთ... აქ ისიც მინდა გითხრათ, რომ სოხუმში შეიქმნა ახალი გუნდი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებს.

ყველამ უნდა გაიგოს ჩვენი გადაწყვეტილების სისწორე. თუ საკავშირო ფედერაციას არ გამოვეყოფოდით, ფიფა-ს წევრი ვერასოდეს გავხდებოდით. ახლა გავამაგრებთ ჩვენს სტრუქტურას, ჩავატარებთ ჩემპიონატს, საბუთებსაც გავამზადებთ და ფიფა-ში გავგზავნით, ამდენ ფაქტს როგორ აუვლიან გვერდს. იქიდან დელეგაციასაც მოვიწვევთ, რათა საკუთარი თვალით ნახონ ყველაფერი.

კარგი იქნება, რომ ჩემპიონატის გახსნის მატჩის შესახებ მდიდარი ფოტო და ვიდეომასალა მომზადდეს. ისინი უნდა გაიგზავნოს საზღვარგარეთ. სასურველია უცხოურ პრესასაც მივაწვდინოთ ხმა.

დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის შექმნა ბევრი სხვა მიზეზითაც იყო აუცილებელი. თუნდაც კლუბების თვითდაფინანსებაზე გადასვლა ავიღოთ, ერთი მატჩის ჩასატარებლად მგზავრობაში რომ 5 ათას მანეთს დახარჯავ, როგორღა შეინახავ გუნდს? ვარჯიშისთვისაც აღარ გრჩება დრო...“.

შემდეგ ნ. ახალკაცმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

● **საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ყველაზე დიდი საფრთხე ალბათ ის უნდა იყოს, რომ არ ჩატარდეს მატჩები წინასწარი მორიგებით, ეგრეთ წოდებული ჩაწყობილი თამაშები. ცხადია, თავიდან უნდა ავიცილოთ მსაჯთა არაობიექტურობაც. რა ღონისძიებებს მიმართავთ ამ საფრთხესთან საბრძოლველად?**

— ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება თვით გათამაშების დებულებაა, როცა გამარჯვებული გუნდი ორს კი არა, სამ ქულას მიიღებს. გათვალისწინებულია ფინანსური და სხვა სახის მკაცრი სანქციები როგორც ცალკეული ფეხბურთელების, ისე, მთლიანად გუნდების მიმართ. რაც შეეხება მსაჯთა არაობიექტურობას, ადრე ამას ფინანსური საფუძველიც ჰქონდა. მსაჯი მატჩზე მხოლოდ 5 მანეთს იღებდა. ახლა არბიტრი თამაშზე 100 მანეთს მიიღებს, გვერდითი მსაჯი — 50 მანეთს. მოკლედ, ყველა მსაჯს ექნება საშუალება, პატიოსანი შრომით კვირაში 150 მანეთამდე გამოიმუშაოს. თუ მას არაობიექტურობას და მიკერძოებას შევნიშნავთ, ამას დაკარგავს.

● **ხომ არა გვაქვს კვალიფიციური მსაჯების დეფიციტი?**

— არა, მსაჯები კარგი გვყავს, მაგრამ, აკი გითხარით, ადრე არ იყო პირობა, რომ მათ კვალიფიციურად ემსაჯათ. პრობლემა ისაა, რომ ყველა ქალაქში (ვგულისხმობ იმ ქალაქებს, რომლებსაც უმაღლეს ჯგუფში გუნდი ჰყავთ) არ არიან მსაჯები. ამიტომ ვაპირებთ გავხსნათ სათანადო ჯგუფები და მსმენელები ამ ქალაქებიდან მოვიწვიოთ.

● **როგორი პრინციპით შეირჩევა მატჩები სატელევიზიო ტრანსლაციისათვის?**

— ამის თაობაზე უკვე მივმართეთ საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელობას. ეს იოლი საკითხი არ არის. პირველ დღეს მხოლოდ ერთი მატჩი გადაიცემა, მაგრამ მერე „გეოგრაფია“ უნდა გავაფართოოთ. არ შეიძლება ქალაქების გამორჩევა, მონაწილეთა ძლიერ და სუსტ გუნდებად დაყოფა. გარწმუნებთ, თამაშები იოლი არსად იქნება, ყველგან ნამდვილი, დაძაბული სპორტული ბრძოლა გაიმართება...

**ჩაიწერა გიორგი ჩოჩიშვილმა.**

**სურათზე:** კონფერენციის დროს.

ზურაბ გენგიურის ფოტოები.

# ევროპის საკლუბო თასებზე

**ამ დღეებში გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრები.**

**ჩემპიონთა** თასზე საყოველთაო ინტერესს იწვევდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრისა“ და პორტუგალიის „ბენფიკის“ თამაში. პირველი მატჩი ლისაბონში „დნეპრმა“ ღირსეულად ჩაატარა და ანგარიშით 0:1 წააგო ამ მეტად ძლიერ მეტოქესთან, მაგრამ საპასუხო შეხვედრაში ნათლად გამოირკვა, რომ „ბენფიკისა“ და „დნეპრის“ კლასის შედარება არ შეიძლება. ლისაბონის გუნდი მეტოქეზე მთელი თავით მაღლა იდგა და თუ პირველ ტაიმში „ბენფიკამ“ რამდენადმე ფრთხილად ითამაშა, შესვენების შემდეგ მან აშკარად დაადასტურა თავისი მაღალი კლასი. სტუმრებმა, რომელთა შორის რამდენიმე უცხოელი გამოდის, სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი, ჯერ ლიმამ (ორჯერ) და შემდეგ რიკარდომ აიღეს „დნეპრის“ კარი. საერთო ანგარიში ორ მატჩში (4:0) აშკარად გამოხატავს ლისაბონის „ბენფიკის“ სრულ უპირატესობას.

საფრანგეთის „მარსელმა“ ბულგარეთის „სრედეცი“ საკუთარ მინდორზე ანგარიშით 3:1 დაამარცხა (პირველი მატჩი მას მოგებული ჰქონდა — 1:0). იტალიის „მილანისა“ და ბელგიის „მეჰელენის“ შეხვედრაში თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. იტალიელმა ფეხბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს დამატებითი დრო და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ჰოლანდიის „ეინდჰოვენმა“ პირველი მატჩის წაგების შემდეგ გფრ-ის „ბაიერნთან“ (1:2) მეორე დამარცხება განიცადა — 0:1 და გამოეთიშა გათამაშებას.

**თასების** მფლობელთა თასზე რუმინეთის „დინამომ“ მოუგო იუგოსლავიის „პარტიზანს“ — 2:0, საფრანგეთის „მონაკომ“ — ესპანეთის „ვალიადოლიდს“ —3:1, ხოლო ბელგიის „ანდერლეხტმა“ ავსტრიის „ადმირა-ვაკერს“ — 1:1 (2:0). შვეიცარიის „გრასჰოპერსისა“ და იტალიის „სამპდორიის“ შეხვედრა მოგვიანებით გაიმართა. გაიმარჯვა „სამპდორიამ“ — 2:0.

**უეფა-ს** თასზე გამართული შეხვედრების შედეგები ასეთია: „ოსერი“ (საფრანგეთი) — „ფიორენტინა“ (იტალია) 0:1, „იუვენტუსი“ (იტალია) — „ჰამბურგი“ (გფრ) 1:2 (2:0), „ვერდერი“ (გფრ) — „ლიეჟი“ (ბელგია) 0:2 (4:1), „ანტვერპენი“ (ბელგია) — „კიოლნი“ (გფრ) 0:0 (0:2).

**გუშინ ჟენევიდან მივიღეთ ცნობა ევროპული საკლუბო ტურნირების გათამაშების ნახევარფინალური წილისყრის შესახებ.**

**ჩემპიონთა თასი:** „მილანი“ (იტალია) — „ბავარია“ (გფრ), „მარსელი“ (საფრანგეთი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია).

**თასების მფლობელთა თასი:** „მონაკო“ (საფრანგეთი) — „სამპდორია“ (იტალია), „ანდერლეხტი“ (ბელგია) — „დინამო“ (რუმინეთი).

**უეფა-ს თასი:** „იუვენტუსი“ (იტალია) — „კიოლნი“ (გფრ), „ვერდერი“ (გფრ) — „ფიორენტინა“ (იტალია).

# მკითხველთა საყურადღებოდ

**სულ** ახლახან მოსკოვში ჩამოვიდნენ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის წევრი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პაბლო პორტა. მათ პრეს-კონფერენცია გამართეს საბჭოთა და უცხოელ კორესპონდენტებთან. ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც პრეს-კონფერენციაზე განიხილეს, იყო საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის ჩამოყალიბება და მისი პოზიცია, კერძოდ, შეუძლია თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დამოუკიდებლად შევიდეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში. ამის თაობაზე ფიფა-ს ოფიციალურ წარმომადგენელთა პასუხი დაიბეჭდა საკავშირო და ადგილობრივ გაზეთებში. მიუხედავად ამისა, რედაქციაში მრავლად მოდის წერილები, გვირეკავენ, ხელახლა გვთხოვენ განმარტებას აღნიშნულ საკითხზე.

ამის გამო ახალს ვერაფერს ვიტყვით, შეგვიძლია მხოლოდ გავიმეოროთ როგორც ი. ბლატერის, ასევე პ. პორტას ოფიციალური განცხადება:

— სანამ საქართველო არ გახდება დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო, არ შეიძლება მისი მიღება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრად. ესაა ფიფა-ს წესდების ერთ-ერთი უმთავრესი დებულება, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას დაცული.

ჯერჯერობით ასეთი ვითარებაა, მაგრამ, ვფიქრობთ, ის დროც არ არის ცხრა მთას იქით, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აღიარებენ ფიფა-სა და უეფა-ს დამოუკიდებელ წევრად.

# საერთაშორისო ტურნირი უდინეში

**იტალიის** ქალაქ უდინეში გაიმართა 1971-72 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრებიც მონაწილეობდა.

წინასწარ შეხვედრებში საბჭოთა ფეხბურთელებმა დაამარცხეს უდინეს პროვინციის (1:0), კანადისა (1:0) და ესპანეთის (1:0) გუნდები. ნახევარფინალში სსრ კავშირისა და იტალიის მეორე გუნდის ფეხბურთელთა შეხვედრა დამატებითი 11-მეტრიანებით მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა (5:4), რომლებიც ფინალში გავიდნენ და იქ ანგარიშით 2:0 დაამარცხეს იუგოსლავიის ნაკრები.

## სტუმრად ნამიბიაში

ორჯონიკიძის „სპარტაკის“ ფეხბურთელები მიწვეული იყვნენ ნამიბიის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ზეიმზე. სპარტაკელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, ამ დღისთვის საგანგებოდ მიწვეულმა ცნობილმა ფეხბურთელებმა რუმენიგემ (გფრ) და კამაჩომ (ესპანეთი).

თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 6:1.

## „უემბლი“ დიდი მატჩის მოლოდინშია

**28 მარტს** ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე დაგეგმილია მეტად საინტერესო საერთაშორისო მატჩი ინგლისისა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

ბილეთების საშუალო ფასი ამ მატჩზე 25 დოლარია. მიუხედავად ამისა, მოელიან სრულ აншლაგს.

## გარდაიცვალა ლ. იაშინი

21 მარტს 61 წლისა გარდაიცვალა სოციალისტური შრომის გმირი, გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს“ მეკარე, ოლიმპიური ჩემპიონი, ლენინის ორდენოსანი ლევ ივანეს ძე იაშინი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## ერთი საფეხურით მაღლა

**უმაღლესი** ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე ერთი მატჩი გაიმართა. უფრო სწორად, კიევში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, ადგილობრივმა „ბუდიველნიკმა" განმეორებითი შეხვედრაც მოუგო მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებს — 97:85 (43:41) და სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი საფეხურით მაღლა გადაინაცვლა.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 24 მარტისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მ.) | 40 | 30 | 10 | 70 |
| ცსკა | 35 | 30 | 5 | 65 |
| „კალევი" (ტალ.) | 39 | 26 | 13 | 65 |
| „ბუდიველ." (კ.) | 38 | 25 | 13 | 63 |
| ვეფ (რიგა) | 40 | 23 | 17 | 63 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 40 | 19 | 21 | 59 |
| ახკ (ალმა-ათა) | 35 | 21 | 14 | 56 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 37 | 17 | 20 | 54 |
| რტი (მინსკი) | 42 | 12 | 30 | 54 |
| „დინამო" (თბ.) | 40 | 12 | 28 | 52 |
| „შახტ." (დონ.) | 40 | 12 | 28 | 52 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 40 | 6 | 34 | 46 |

## დაძაბული ბრძოლა პირველ ნახევარში

**გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების კიდევ რამდენიმე მატჩი.**

**პოზნანში** ადგილობრივი „ლეხი" დამარცხდა ჰოლანდიის კლუბ „კომოდორესთან" — 96:111 (45:61).

**მილანში** იტალიის „ფილიპსმა" აჯობა ისრაელის „მაკაბის" (ტელ-ავივი) 106:104 (61: 53).

**საფრანგეთის** ქალაქ ლიმოჟში ადგილობრივმა კლუბმა ვერაფერი გააწყო ესპანეთის „ბარსელონასთან". პირველ ნახევარში ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო და ფრედ 53:53 დამთავრდა. შესვენების შემდეგ კი გამოიკვეთა ესპანელთა უპირატესობა, რომლებმაც გაიმარჯვეს — 103:91. „ბარსელონაში" საუკეთესო სნაიპერი სან ეპიფანიო იყო (23 ქულა), „ლიმოჟში" — კოლინზი (21 ქულა).

## ფავორიტთა შავი დღე

**კი-ბისკეინი** (აშშ). ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირში ზედიზედ აგებენ ფავორიტები. პირველი სენსაცია, როგორც ვიუწყებოდით, ბორის ბეკერის მარცხი იყო. მერე მის გზას დაადგა ივან ლენდლი, რომელსაც ესპანელმა ემილიო სანჩესმა აჯობა — 6:3, 6:7, 6:4, „ესპანური დაბრკოლება" ვერ გადალახა ვერც ქალთა ტურნირის მთავარმა ფავორიტმა არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ. მას კონჩიტა მარტინესმა მოუგო — 7.:6, 6:2.

დარჩა ერთადერთი ტიტულოვანი ფავორიტი, რომელიც დაჯერებულად მიიკვლევს გზას ფინალისკენ. ეს არის შვედი სტეფან ედბერგი, რომელმაც მორიგ შეხვედრაში დასავლეთგერმანელი კარლ-უვე შტეები დაამარცხა — 6:2, 4:6, 6:3.

## „საუკუნის მატჩი"

**ახლახანს** შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგის გარეუბან მარიფილდში გამართული შეხვედრა ბრიტანელმა რაგბის ქომაგებმა საუკუნის მატჩად მონათლეს. საქმე ისაა, რომ პირველად შოტლანდიისა და ინგლისის ეროვნული ნაკრებების შეხვედრების 119-წლიან ისტორიაში, ერთმა თამაშმა გადაწყვიტა სამი ჯილდოს — ხუთი ერის პირველობის, „დიდი სლემისა" და „კალკუტის თასის" ბედი.

მარიფილდში შეხვედრამდე ორივე გუნდს დამარცხებული ჰყავდა ტურნირის დანარჩენი სამი მონაწილე — საფრანგეთის, ირლანდიისა და უელსის გუნდები. ოღონდ, თუ ინგლისელები მეტოქეებს დიდი უპირატესობით ჯაბნიდნენ, შოტლანდიელები უშეღავათო ბრძოლის შემდეგ იმარჯვებდნენ. ამიტომ იყო, რომ თამაშამდე მიმომხილველები სტუმრებს ანიჭებდნენ უპირატესობას.

მაგრამ მზიან და ქარიან ამინდში გამართულმა შეხვედრამ პროგნოზები თავდაყირა დააყენა. შოტლანდიელებმა უზომო თავდადებით ითამაშეს, ძველისძველ მეტოქეს მოუგეს და ქომაგებს იმედი გაუმართლეს.

შესვენებამდე ქარი მასპინძლებს ეხმარებოდა. მათაც, ყოფილი კაპიტნის, „ბრიტანელი ლომის" ფინლი ქოლდერის აქტიურობით წაქეზებულებმა, მეტოქეს თავიდანვე მედგრად შეუტიეს და მე-11 წუთისთვის 6 ქულით დაწინაურდნენ: ჩალმერსმა ზუსტად დაარტყა ორი საჯარიმო. მიუხედავად ამისა, მასპინძლებს მალე გაუჭირდათ, როცა ვაითი დაუშავდათ, ინგლისელთა მულატი შუამარბი გასქოთი კი ეფექტური ცრუ მოძრაობებით გაუსხლტათ და ანგარიში 6:4-მდე შემცირდა.

აქედან მოყოლებული, სტუმრები ხანგრძლივ იერიშზე გადავიდნენ, მათმა ზორბა და ერთობ მოძრავმა მორკინალებმა ლამის გადათელეს მასპინძლები, მაგრამ შოტლანდიელები მაინც გაუმკლავდნენ განსაცდელს — მაშინაც კი, როცა ოთხი წუთის განმავლობაში, მასპინძელთა კარის ხაზიდან ხუთ მეტრში დანიშნული საჯარიმოების ნაცვლად ზედიზედ ხუთჯერ გათამაშებულ შერკინებაში ინგლისელები ძალით ეცადნენ ბურთის ლელოში შეტანას. შოტლანდიელებმა მოიგერიეს სტუმართა ეს შეტევა და შესვენების წინ ჩალმერსმა კიდევ ერთი საჯარიმო შეაგდო — 9:4.

მეორე ნახევარი სტუმართათვის უიღბლოდ დაიწყო: არმსტრონგის გარღვევის შემდეგ გ. ჰესთინგსმა მათი ლელოსაკენ ფეხით გაგზავნა ბურთი და მასპინძელთა გარემარბი სთეინჯერმიც ზედ კუთხის ალამთან დაეუფლა ბურთს — 13:4. შემდეგ ზურგქარის დახმარებით ინგლისელები თითქოს გონს მოეგნენ, ბევრსაც უტევდნენ, ტაიმის შუაწელში ჰოჯქინსონმა საჯარიმოც შეაგდო, მაგრამ შოტლანდიელთა თავდადების შემხედვარე სტუმრები მალე პანიკამ მოიცვა; ინგლისელები ერთობ ამჩატდნენ, იმავე ჰოჯქინსონს ორი საჯარიმო გაუცუდდა, შოტლანდიელმა ს. ჰესთინგსმა კი თამაშის მიწურულს ლელოსკენ გაჭრილი რ. ანდერვუდი ზედ ხაზთან შებოჭა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 13:7.

გუნდების შემადგენლობა: **შოტლანდია** — გ. ჰესთინგსი; სთეინჯერი, ს. ჰესთინგსი, ლინინი, თუქალო; ჩალმერსი, არმსტრონგი; სოული, მილნი, ბერნელი; ჯეფრი, გრეი, ქრონინი, ქოლდერი; ვაითი (თერნბელი). **ინგლისი** — ჰოჯქინსონი; ჰალიდეი, ქარლინგი, გასქოთი (ბეილი), რ. ანდერვუდი; ენდრიუ; ჰილი; ჩილქოთი, მური, ფრობინი; სქინერი, დული, ექფორდი, ვინთერბოთომი; თიგი. **მსაჯობდა** ახალზელანდიელი დევიდ ბიშოფი.

მართალია, გამოვლინდა ჩემპიონი, მაგრამ ამით წლევანდელი პირველობა არ დამთავრებულა. შეჯიბრების ბოლო მატჩი (ირლანდია — უელსი) დღეს, 24 მარტს გაიმართება.

## „სპორტლოტო"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1990 წლის მე-11 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.898.946 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (41) მოგება 1.686 მანეთია, ოთხისთვის(2.607)—32, სამისთვის (44 094) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 49.590 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—58, 3—1068.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 20.071.955 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (26) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (5.047) — 183, სამისთვის (165. 872) — 11.

საქართველოში: დაშვებულია 630.071 ვარიანტი. 5—0, 4—216, 3—5.801.

მე-11 და მე-2 ტირაჟიდან მე-11 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 7 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით.

## რევაზ ჯარაშნელი



ალარ არის რევაზ (ზერო) ჯარაშნელი, ჩვენი მძლეოსნობის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, მისი ერთგული მუშაკი. ხაწვრთნელ შეკრებაზე ყოფნისას უეცრად უღალატა მძლეოსნობის სამსახურში დაღლილმა გულმა.

გულგრილად არც ერთი საზოგადოებრივი საქმე არ გაუკეთებია. გრილი გული მისი ხასიათი, მისი თვისება არ იყო. ამ ხნის კაცი საუბარში ჭაბუკურად აენთებოდა, როცა თავისი გუნდის, საქართველოს მოსწავლე მძლეოსანთა პერსპექტივებს გვისურათებდა.

ადრე თვითონ შესანიშნავი მძლეოსანი, სპრინტერი იყო, 1955-1963 წლებში საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა. გახდა სპორტის ოსტატი, მონაწილეობდა სამ საკავშირო სპარტაკიადაში... მრავალ სხვა შეჯიბრებაში. მის მაშინდელ შედეგს 100 მეტრზე რბენაში, ახლაც კი, 30 წლის შემდეგ, ბევრი ჩვენი მოქმედი სპრინტერი ინატრებდა.

უკვე ვთქვით: მძლეოსნური ბილიკი მისთვის ცხოვრების გზა გახდა, ოღონდ ეს გზა სტადიონის ბილიკივით ზომიერად მოხაზული არ იყო. ეს ბუნებრივიცაა, ჩვენი მძლეოსნობის ყველა პრობლემა მისი პრობლემაც იყო, ასევე — სიხარულიც.

დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი და შემდეგ რამდენიმე ძლიერი მორბენალი აღზარდა, მათ შორის — სპორტის ოსტატები. მთელი 15 წელი (1979 წლამდე) იყო საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი სპრინტში, იგი მართლაც დამსახურებულად ატარებდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდებას.

ეტყობა, მძლეოსნობა მისთვის მარტო პროფესია არ იყო, თავისი ორივე შვილი, უფროსი გია და მომდევნო დავითი, მძლეოსნობაზე მიიყვანა. გიას წარმატებები ხვდა სპრინტში. მაგრამ უმცროსმა მეტს მიაღწია ბირთვის კვრაში და ახლა პერსპექტიული ჭაბუკი საქართველოს ნაკრების ღირსეული წევრია.

ბოლო წლებში ზერო ჯარაშნელი მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს ედგა სათავეში. მის ხელში საგრძნობლად შეიცვალა ნორჩ მძლეოსანთა მზადების ადრინდელი მავნე პრაქტიკა: მათი სახელდახელოდ შეკრება, ფორსირებულად წვრთნა წუთიერი შედეგების მისაღებად; ჯარაშნელი ნიჭიერი ბავშვების გვარებს ინიშნავდა თავის ბევრისდამტევ დღიურებში, თვალს ადევნებდა მათს დაოსტატებას. ერთ გუნდს რომ გაამზადებდა სასპარეზოდ, მის უკან მეორე და მესამე ნაკრები — უფროს-უმცროსები ეგულებოდა სამომავლოდ. თან ძალიან სწამდა მათი, ბავშვებთან მართლაც ოპტიმისტი ადამიანები უნდა მუშაობდნენ. მისი ბოლო თანამდებობაც მოზარდების აღზრდასთან გახლდათ დაკავშირებული: ზერო ჯარაშნელი საქართველოს სპორტსახკომის მძლეოსნობის სასწავლო-მეთოდური გაერთიანების რეზერვების განყოფილების უფროსი იყო.

საქმეზე გადაგებული კი იყო, მაგრამ სრულებით არ გახლდათ „მშრალი" კაცი, მეგობრობის ყადრიც იცოდა და ბუნებითაც ისეთი იყო, როგორც ჩვეულებრივ, ქართველი კაცი არის ხოლმე.

...გულთან მიჰქონდა ყველაფერი და გულმაც ველარ გაუძლო — 58 წლის ასაკში გამოეთხოვა წუთისოფელს.

მისმა სიკვდილმა დიდად დაამწუხრა ყველა, ვინც კი იცნობდა.

**ამხანაგების ჯგუფი.**

რედაქტორის მოადგილე **უ. ჭიჭინაძე**

**ფეხბურთის გულშემატკივართა საყურადღებოდ!**

27 მარტს, 18 საათსა და 30 წუთზე თბილისის „დინამოს" ცენტრალური სტადიონის ოსტატთა კლუბში შედგება თბილისის „იბერიის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივართა კლუბის საანგარიშო კრება.

**დღის წესრიგი:**

1. ორგანიზაციული საკითხი;
2. კლუბის მიერ 1987-89 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში.

**გულშემატკივართა კლუბის პრეზიდიუმი.**

**ქვემო ქართლში** (დმანისის რ-ნის სოფ. განთიადი) შეიქმნა საფეხბურთო ასოციაცია „განთიადი", იქვე განთიადში მალე გაიხსნება საფეხბურთო კოლეჯი, რომელშიც ჩაირიცხებიან ობოლი და უპატრონო ბავშვები, აგრეთვე მრავალშვილიანი და ხელმოკლე ოჯახებიდან აყვანილი ფეხბურთის მონაცემების მქონე 11-12 წლის მოზარდები. ასოციაციის მიზანია, რამდენიმე წელიწადში შექმნას ამ რეგიონში ძლიერი პროფესიული საფეხბურთო კლუბი, რომელიც იარსებებს სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

გუნდში მოხვედრილ ბავშვებს მიეცემათ ხელფასი, რომელიც გადაერიცხებათ ბანკში პირად ანგარიშზე.

ფეხბურთისა და სასკოლო დისციპლინების გარდა მოსწავლეები გაძლიერებით შეისწავლიან ინგლისურ ენას, ცეკვას, სიმღერას, ეთიკას, რელიგიას. ასევე აითვისებენ სხვადასხვა პროფესიას, როგორიცაა დურგლობა, ელექტროშედუღება, სოფლის მეურნეობა და სხვა.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ სურვილისამებრ მათ მიეცემათ საცხოვრებელი ბინა და 3 წლის ვადით უზრუნველყოფილი იქნებიან მატერიალურად. გამოვთქვამთ რა იმედს, რომ მრავალი ორგანიზაცია, თუ კერძო პირი დაგვეხმარება გარკვეული თანხით ქვემო ქართლში ქართული ფეხბურთის აღორძინების ამ საშვილიშვილო საქმეში. გაწვდით ჩვენი ანგარიშების ანგარიშის №70057, დმანისის აგრომრეწვბანკი. ქვემო ქართლის საფეხბურთო საქველმოქმედო ასოციაცია „განთიადი".

**ქვემო ქართლის საფეხბურთო საქველმოქმედო ასოციაცია „განთიადის" პრეზიდიუმი.**

**„სპორტპროგნოზი", მე-13 ტირაჟის პროგრამა (31 მარტი-1 აპრილი)**

| | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **შაიბიან ჰოკეიში სსრ კავშირის ჩემპიონატის გადასასვლელი ტურნირი** | | | | |
| 1. „დინამო" (ხარკოვი) — ახკ (ლენინგრადი), პირველი თამაში | 31.III | 50 | 30 | 20 |
| 2. „კრისტალი" (სარატოვი) — ურიცკის სახ. სკ (ყაზანი), პირველი თამაში | 31.III | 20 | 30 | 50 |
| 3. „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) — „კრისტალი" (ელექტროსტალი), პირველი თამაში | 31.III | 50 | 40 | 10 |
| 4. „სალავათ იულაევი" (უფა) — „ტორპედო" (უსტ-კამენოგორსკი), პირველი თამაში | 31.III | 50 | 40 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 5. ცსკა — „დინამო" (მინსკი) | 31.III | 50 | 40 | 10 |
| 6. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 31.III | 20 | 70 | 10 |
| 7. „პამირი" (დუშანბე) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 1.IV | 30 | 60 | 10 |
| 8. „არარატი" (ერევანი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) | 1.IV | 30 | 60 | 10 |
| 9. „დინამო" (მოსკოვი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) | 1.IV | 50 | 40 | 10 |
| 10. „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (კიევი) | 1.IV | 10 | 70 | 20 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 11. „ლოგრონიესი" (ლოგრონიო) — „რეალი" (სან-სებასტიანი) | 1.IV | 20 | 70 | 10 |
| 12. „მალაგა" (მალაგა) — „ოვიედო" (ოვიედო) | 1.IV | 50 | 40 | 10 |
| 13. „სევილია" (სევილია) — „ოსასუნა" (პამპლონა) | 1.IV | 40 | 50 | 10 |

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი" — 93-97-26, „მარცვი" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743